საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში შესყიდვის ელექტრონული პროცედურის საშუალებით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის დოკუმენტაცია

(წინამდებარე შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის N321 დადგენილების საფუძველზე)

თბილისი

2019 წელი

1. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები

1.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომელიც ადასტურებს ბიუჯეტის წინაშე პრეტენდენტის დავალიანების არ არსებობას.

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომელიც ადასტურებს, რომ პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

1.2 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის სტატუსის **„წინადადებების მიღება დაწყებულია“ ეტაპის შემდეგ.**

1.3 პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვასთან ერთად.

2. ზოგადი ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ

2.1. შესყიდვის ობიექტი და ტექნიკური აღწერილობა:

2.1.1. შესყიდვის ობიექტია სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა. სამშენებლო სამუშაოების წარმოების ადგილია **თბილისი და მისი შემოგარენი საქართველო.**

2.1.2. პრეტენდენტებს შეუძლიათ გამოხატონ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის ინტერესი შემდეგი ფორმით: ერთიან ელექტრონულ სისტემაში განცხადების გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, თავდაცვის სამინისტროს კანცელარიაში უნდა წარმოადგინო ნ წერილი ინტერესის გამოხატვის თაობაზე (დანართი N2-ის შესაბამისად), რომელსაც უნდა დაურთონ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა (ფორმა N4). აღნიშნული დოკუმენტები წარმოსადგენია ინტერესის გამოხატვისათვის განსაზღვრული ვადის (5 სამუშაო დღე) ბოლო დღის 18:00 საათამდე, არასაიდუმლო ფორმით. დაგვიანებით წარმოდგენილი წერილები არ განიხილება.

2.1.3. ინტერესის გამოხატვისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემსყიდველი უზრუნველყოფს შესყიდვ ის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადაცემას დაინტერესებული პირისათვის, საიდუმლო წესით.

2.1.4. ელექტრონული ვაჭრობის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, უმდაბლესი ფასის წარმომდგენმა კომპანიამ, საიდუმლო წესის დაცვით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში უნდა წარმოადგინოს ლოკალური ხარჯთაღრიცხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.1.5. წინამდებარე დოკუმენტაციის 2.1.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, საიდუმლო წესის დაცვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ლოკალური ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას შესყიდვის ელექტრონული პროცედურიდან და შემსყიდველი მიმართავს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს.

2.1.6. პრეტენდენტი ვალდებულია შემოთავაზებული ხარჯთაღრიცხვის მოცულობებისა და დარიცხვების ნაწილში, შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში წარმოადგინოს კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

2.1.7. პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს ფასები ხარჯთაღრიცხვის ჩამონათვალში მოცემულ სამუშაოთა ყველა პოზიციაზე. ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ჩამონათვალის პრეტენდენტის მიერ განუფასებელობა ან ნულით განფასება, შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება.

2.1.8. სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული სხვადასხვა მასალები და მოწყობილობები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს.

2.1.9. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალების ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) უნდა შეთანხმდეს შემსყიდველის მიერ გამოყოფილ ინსპექტირების ჯგუფთან, საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს ნიმუშები; შესრულებულ სამუშაოებზე და გამოყენებულ მასალებზე უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 36 (ოცდათექვსმეტი) თვიანი საგარანტიო ვადა (საგარანტიო ვადის ათვლა დაიწყება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფრომების შემდეგ). მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის/ხარვეზის აღმოფხვრა უზრუნველყოს საკუთარი სახსრებით.

2.1.10. სამუშაოების შესრულებისას დაცული უნდა იყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმები.

2.1.11. პრეტენდენტმა ხარჯთაღრიცხვა უნდა შეადგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N1-1/251 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლოს სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ'' და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით

დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტის - ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის'' შესაბამისად. იდენტური დასახელების სამუშაოზე გათვალისწინებული უნდა იყოს იდენტური ფასი.

2.1.12. მიმწოდებელი, შემსყიდველთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ტექნიკური პირობების (ნებართვები) მოპოვება/შეთანხმებას შესაბამის უწყებებთან.

2.1.13. ხელშეკრულების გაფორმებისას მიმწოდებელმა, შემსყიდველთან შეთანხმებული ფორმით, საიდუმლო წესის დაცვით, უნდა წარმოადგინოს დეტალური კალენდარული გეგმა-გრაფიკი.

2.2. სავარაუდო ღირებულება:

2.2.1. ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტებმა უნდა დააფიქსირონ სახარჯთაღრიცხვო ჯამური ღირებულება, რომელიც გამოსახული უნდა იყოს პირობით ერთეულებში.

2.2.2. შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება დღგ-ის, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს არაუმეტეს **210 800 (ორას ათი ათას რვაასი)** ლარს.

2.3. ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1. ანგარიშსწორების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, **2019** წლის დაფინანსების ფარგლებში.

2.3.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება სამუშაოს შესრულებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი ხელმოწერიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

2.3.3. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

2.3.4. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

2.3.5. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი), მიმწოდებლის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი გარანტიის საფუძველზე, საბანკო გარანტიის შესაბამისი თანხის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 80%-ისა.

2.3.6. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია, უნდა შესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და მისი მოქმედების ვადა, არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.3.7. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის ოდენობა, აღემატება გაცემული (ნარჩენი) ავანსის ღირებულებას, გახორციელდება აღნიშნული ავანსის გაქვითვა, ამასთან გადახდილი ავანსის გაქვითვის შემდგომ, შესაძლებელია ხელახალი ავანსის გაცემა, ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

2.3.8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის ოდენობა, არ აღემატება გაცემული (ნარჩენი) ავანსის ღირებულებას, ავანსად გადარიცხული თანხის დაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, კერძოდ: მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან, დაუკავდება თანხის ის პროცენტული ოდენობა, რა პროცენტული განაკვეთიც აქვს მიღებული ავანსად.

2.4. სამუშაოს მიწოდების ვადა:

სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადაა, ხელშეკრულების გაფორმებიდან **70 (სამოცდაათი)** კალენდარული დღე.

2.5 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია:

ხელშეკრულების გაფორმებამდე, პრეტენდენტს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის **საბანკო გარანტიის წარმოდგენა არ მოეთხოვება.**

2.6. პრეტენდენტის გამოცდილება:

2.6.1. პრეტენდენტს მიმდინარე და გასული 3 (სამი) კალენდარული წლის განმავლობაში (2016-2017-2018-2019, კონკრეტულ წელს მნიშვნელობა არ ენიჭება) უნდა გააჩნდეს არანაკლებ **250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი)** ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

2.6.2. პრეტენდენტმა წინამდებარე დოკუმენტაციის, 2.6.1. ქვეპუნქტით მოთხოვნილი შესრულებულ სამშენებლო სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტების **(ხელშეკრულებები შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით ან/და სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებს სამუშაოების შესრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამუშაოები შესრულებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით. ამ შემთხვევაში პრეტენდენტმა წერილობით უნდა წარმოადგინოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი, თარიღი და ღირებულება)** ასლები, უნდა წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვასთან ერთად.

2.6.3. **უმცირესი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს მიეცემა დისკვალიფიკაცია თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის განხილვამდე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ანუ ხელშეკრულების მოქმედების ვადა დასრულდა ან შემსყიდველის მიერ შეწყდა ვადამდე ისე, რომ მიმწოდებელმა ვერ შეძლო შესასრულებელი სამუშაოების შესრულება, რისთვისაც მის მიმართ გამოყენებულ იქნა საჯარიმო სანქცია, გარდა იმ შემთხვევისა თუ კომპანიას აღნიშნული ჯარიმით გათვალისწინებული თანხა გადახდილი აქვს ან გადაიხდის საკვალიფიკაციო დოკუმენტაციისა და ხაჯთაღრიცხვის წარმოდგენამდე.**

2.7. შესყიდვილ ელექტრონული პროცედურის შეჩერება/შეწყვეტა.

2.7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების გაფორმებამდე ნებისმიერ დროს შეაჩეროს/შეწყვიტოს შესყიდვის ელექტრონული პროცედურა, თ უ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით.

2.7.2. წინამდებარე დოკუმენტაციის 2.7.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, შემსყიდველი არ არის ვალდებული პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულებები და დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შეჩერების/შეწყვეტის გადაწყვეტილება.

3. ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოსადგენი დოკუმენტი

ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს მხოლოდ საკუთარი რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად.

4. დოკუმენტის გაცნობის უფლება

4.1. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილე ნებისმიერ პრეტენდენტს, უფლება აქვს გაეცნოს ამავე შესყიდვის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, მათ შორის: პრეტენდენტ(ებ)ის მიერ, შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილ დოკუმენტებს, შესაბამისი წერ ილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4.2. პრეტენდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე დოკუმენტაციის 4.1. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გაცნობა, შესყიდვის ელექტრონული პროცედურისათვის სტატუსის ,,მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება" მინიჭებიდან მომდევნო სამი სამუშაო დღის ვადაში. დოკუმენტების გაცნობა განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის იურიდიულ მისამართზე.

4.3. წინამდებარე დოკუმენტაციის 4.2. პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პრეტენდენტისთვის დოკუმენტების გაცნობა, მოთხოვნისათვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან, გონივრულ ვადაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გარემოება უნდა დადასტურდეს ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი ოქმით.

4.4. პრეტენდენტის მიერ დოკუმენტების გაცნობის მოთხოვნა არ აჩერებს ამავე შესყიდვის ელექტრონული პროცედურებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამუშაოების მიმდინარეობას.

შენიშვნა:

შემსყიდველს უფლება აქვს წინამდებარე დოკუმენტაციის 1.1 და 2.6 პუნქტებით, ასევე 2.1.6 ქვეპუნქტით განსაზღვრული, საკვალიფიკაციო მონაცემების, პრეტენდენტის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვის დაზუსტება, მხოლოდ ერთხელ მოთხოვოს პრეტენდენტს. მოთხოვნილი დაზუსტებული დოკუმენტაციის, 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, წარმოუდგენლობა ან/და არასრულყოფილად წარმოდგენა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას შესყიდვის ელექტრონული პროცედურიდან;

შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ხარჯთაღრიცხვის დაზუსტებამ, არ უნდა გამოიწვიოს ხარჯთარიცხვის არცერთ პოზიციაზე შესყიდვის ობიექტების ერთეულის ღირებულების გაზრდა,

შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობით და წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ტექნიკური პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე;

შესყიდვის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებული დამატებით ინფორმაცია და განმარტებები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირ(ებ)ისგან: ქ. თბილისი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, გენ. გ. კვინიტაძის ქ. N20. ზურაბ ბერიძე (ელ. ფოსტა: zberidze@mod.gov.ge), ტელ: +995 032 2 54 35 35 (შიდა 2641).

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის წარმოდგენილი წინადადების შესაბამისად (შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ტექნიკური პირობებით განსაზღვრული მოთხოვნათა დაცვით)

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N -----

ქ. თბილისი «_____» _____ 201-- წ.

შემსყიდველი - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი ---------- სახით.
მისამართი: 0112, ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. N20
საიდ. კოდი: 204900483
ტელ: (+995 032) 2 54 35 35; (+995 032) 2 72 35 35
e-mail: ----------
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, კოდი TRESGE22, ანგ. N 200122900

მიმწოდებელი – ----------
მისამართი: ----------
საიდ. კოდი: ---------- ტელ:
---------- e-mail: --
---------- საბანკო
რეკვიზიტები: ----------

შესყიდვის საშუალება: შესყიდვის ელექტრონული პროცედურა № GEO18----------

წინამდებარე ხელშეკრულება იდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №321 დადგენილების მე-7 მუხლის საფუძველზე.

შესყიდვის ელექტრონული პროცედურა GEO18---------- სახელმწიფო შესყიდვაზე, მხარეები შევთანხმდით შემდეგზე:

1. გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მხარეები" – წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შემსყიდველი და მიმწოდებელი.
1.7 „სამუშაო" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.8 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია მიმწოდებელის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად---------- ---------- სამუშაოების შესრულება, საპროექტო დოკუმენტაციისა და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს, რომელიც მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.
3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი და რაოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების დანართ(ებ)ით (ხარჯთაღრიცხვით).
3.3. ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული ერთეული ღირებულება შესაძლებელია დაზუსტდეს (შემცირდეს) მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული დანახარჯების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება მოვალეობები

4.1. მიმწოდებელის მიერ სამუშაო უნდა შესრულდეს ამ ხელშეკრულების, პროექტისა და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია 8.2.1. პუნქტში მითითებულ პირ(ებ)ს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს გამოსაყენებელი მასალა-მოწყობილობების სერთიფიკატები, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შესაბამისი მასალა-მოწყობილობების გამოყენებამდე.
4.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები უნდა შესრულდეს ამ სამუშაოებზე მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.
4.4. შემსყიდველი (8.2.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი) უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადების მიმწოდებლის მიერ დარღვევისას, რაც გამოწვეული არ არის შემსყიდველის მიზეზით, არაუმეტეს სამჯერ წერილობით გააფრთხილოს მიმწოდებელი და მოსთხოვოს სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში შესრულება.
4.5. თუ სამუშაოების ფაქტობრივად შესრულების ვადები სცილდება გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებს, რაც გამოწვეული არ არის შემსყიდველის მიზეზით 8.2.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი უფლებამოსილი არიან 4.4. პუნქტით განსაზღვრული გაფრთხილების შემდეგ ან მის გარეშეც დააყენონ საკითხი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლის შესაბამისად.
4.6. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვას საკუთარი ხარჯით ჩაუტაროს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო"- ში, რომლის დასკვნის შესაბამისად მოხდება ხელშეკრულებას თანდართული ხარჯთაღრიცხვით შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის კორექტირება (მაგრამ არაუმეტეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული ერთეული ღირებულებისა) და ხარისხის გათვალისწინება.
4.7. მიმწოდებელი უფლებამოსილია შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაჩქარებული წესით დადგენის მიზნით, წარადგინოს შემსყიდველთან (8.2.1. ქვეპუნქტში მითითებულ პირებთან) შეთანხმებულ საექსპერტო დაწესებულებაში, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარდგენიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული დოკუმენტაციის საექსპერტო კვლევის ხარჯებს იხდის მიმწოდებელი. მიმწოდებელი ვალდებულია საექსპერტო კვლევის დრო და ადგილი შეუთანხმოს შემსყიდველს (8.2.1. ქვეპუნქტში მითითებულ პირებს).
4.8. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულების შესახებ წერილის მიწოდებისას წარუდგინოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის ფორმა „№2" „№3" და კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტაცია.
4.9. სამუშაოების დასრულების შემდეგ „მიმწოდებელი" ვალდებულია თავისი ძალით და სახსრებით დაუყონებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, სამშენებლო ნარჩენებისაგან და ა.შ.
4.10. სამუშაოების შესრულების დროს, თუ საჭირო გახდება რაიმე ტიპის კომუნიკაციის მოწყობა-დაერთება ქსელზე, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციის ან/და სამონტაჟო სამუშაოების შეთანხმება ტექნიკური პირობების გამცემ ლიცენზიანტ ორგანიზაციასთან.

5. სამუშაოს შესრულების წესი, ვადები და ადგილი

5.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის სასარგებლოდ ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში და ადგილზე, უნდა უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს და ნორმებს.
5.2 სამუშაოს დასრულება უნდა განხორციელდეს 2018 წლის _____მდე.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოს ან მისის ნაწილის შესრულებისას წარუდგინოს შემსყიდველს კანონმდებლობით დადგენილი (ფორმა №2, №3, მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და სხვა) დოკუმენტები.
5.4 სამუშაოს შესრულების ადგილია ----------.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წყარო და ვადები

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, ლარში.
6.2. ანგარიშსწორების წყაროს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს -------- წლის ასიგნებები (კოდი

2905).

6.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება, ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მიხედვით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ფორმა №2 და ფორმა №3-ზე შემსყიდველის მხრიდან 8.2.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მიერ ხელმოწერიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

6.4. მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 50% -ის ოდენობის ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ არანაკლებ იმავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

6.5. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და მასში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს, რომ თუ პრინციპალი ვერ შეასრულებს ხელშეკრულების პირობების თანახმად ნაკისრ ვალდებულებებს, გარანტიის გამცემი კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენისთანავე აუნაზღაუროს მას ნებისმიერი თანხა, საგარანტიო თანხის ფარგლებში. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

6.6. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის ოდენობა აღემატება გაცემული (ნარჩენი) ავანსის ღირებულებას, გახორციელდება აღნიშნული ავანსის გაქვითვა, ამასთან გადახდილი ავანსის გაქვითვის შემდგომ, შესაძლებელია ხელახალი ავანსის გაცემა, ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

6.7. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის ოდენობა არ აღემატება გაცემული (ნარჩენი) ავანსის ღირებულებას, ავანსად გადარიცხული თანხის დაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, კერძოდ: მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაუკავდება თანხის ის პროცენტული ოდენობა, რა პროცენტიც მიღებული აქვს ავანსად.

6.8. ავანსად გაცემული თანხების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 80%-ს.

7. სტანდარტები

7.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებსა და ნორმებს.

7.2. მიმწოდებელმა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას უნდა დაიცვას „მშენებლობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №62 დადგენილება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულებლის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესასრულებელი/შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:

8.2.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის ან ამ დეპარტამენტში შემავალი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი – შესრულებული სამუშაოების (ამ ხელშეკრულების 3.3. პუნქტის გათვალისწინებით) შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა №2, №3), სამუშაოთა მიწოდების ვადის (მათ შორის გეგმა გრაფიკის), რაოდენობის (მოცულობის), ხელშეკრულების პირობებთან ხარისხობრივი შესაბამობის განსაზღვრისა და სამუშაოების ზედამხედველობის კონტროლის საკითხებზე;

8.2.2. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი - ობიექტის საბოლოო მიღება - ჩაბარების და სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადის კონტროლის, ასევე საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო პიროებების კონტროლის საკითხებზე.

8.3. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმით:

8.3.1 ხელშეკრულების პირობებთან შესრულებული სამოშაოების ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური (მათ შორის სპეციალისტის მიერ დათვალიერება), აზომვითი, ტექნიკური ან/და დოკუმენტური მეთოდით;

8.3.2 სამუშაოების შესრულების შეთანხმებული ვადების დაცვის მონიტორინგი;

8.4. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების შესრულების ეტაპზე, სამუშაოების მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

8.5 კონტროლის განხორციელების ადგილია: სამუშაოს შესრულების ადგილი ან / და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის შესაბამისად.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. სამუშაოს ეტაპობრივი შესრულება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 8.2.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი ფორმა №2 და №3-ით, ხოლო საბოლოო შესრულება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით.

9.2. ობიექტის საბოლოო მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 8.2.2. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ფორმდება 5.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე და რომელიც ადასტურებს სამუშაოს გადაცემას მიმწოდებლისაგან შემსყიდველზე და შემსყიდველის მიერ მის მიღებას.

9.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ:

9.3.1. იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო);

9.3.2. შესრულებულია სამუშაოთა მოცულობებში ან/და ხარჯთაღრიცხვაში მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამეტის ფარგლებში);

9.3.3. სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

9.3.4. დეფექტების გამოსწორება შეუძლებელია;

9.3.5. სამუშაო სრულად არ არის შესრულებული, ხოლო ნაწილობრივი შესრულება შემსყიდველისთვის ინტერესს კარგავს;

9.3.6. ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია, გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის) სამუშაო.

9.5. სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა რისკი შესასრულებელი სამუშაოების შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული რისკები გადადის შემსყიდველზე.

9.6. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

9.7. სამუშაოს მთლიანი ან ეტაპობრივი შესრულების შესახებ მიმწოდებლის წერილობითი შეტყობინების (რომელსაც უნდა ახლდეს შესრულებულ სამუშაოთა დოკუმენტაცია - ფორმა №2 და №3) მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი ((8.2.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი) ვალდებულია:

9.7.1. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დაადასტუროს ხელმოწერით ეტაპობრივი ან/და საბოლოო შესრულების სამუშაოს აქტი ფორმა №2 და სამუშაოს შესრულების ცნობა ფორმა №3 (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიმწოდებელი გამოიყენებს 4.7. პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებას);

9.7.2. სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია შესაბამისობის დასადგენად გადააგზავნოს სათანადო საექსპერტო დაწესებულებაში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიმწოდებელი გამოიყენებს 4.7. პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებას), რის შესახებაც წერილობით აცნობებს მიმწოდებელს და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს;

9.7.3. დასაბუთებული არგუმენტაციით, კონკრეტული შენიშვნებით, დაუბრუნოს შესრულებულ სამუშაოთა დოკუმენტაცია მიმწოდებელს შემდგომი კორექტირებისათვის.

9.8. შესრულებულ სამუშაოთა დამადასტურებელ დოკუმენტაციაზე საექსპერტო კვლევის დანიშვნის შემთხვევაში ეტაპობრივი ან საბოლოო შესრულების დადასტურება უნდა განხორციელდეს სათანადო დასკვნის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო საბოლოო შესრულების დადასტურების შემდეგ ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლის მიერ გამოყოფილმა პირ(ებ)მა უზრუნველყონ ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

9.9. სამუშაოს დასრულების თარიღად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ სამუშაოს დასრულების შესახებ შემსყიდველისათვის წერილობითი შეტყობინების წარდგენის თარიღი, გარდა იმ შეთხვევისა, როდესაც შესრულებულ სამუშაოთა ამსახველი დოკუმენტაცია (ფორმა №2 და №3) არ არის შესაბამისობაში ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობასთან.

9.10. ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისთანავე მიმწოდებლიდან შემსყიდველზე გადადის საკუთრების უფლება, მიმწოდებლის მიერ შეძენილი მასალით დამზადებულ ნაკეთობაზე ან/და ნივთებზე.

10. საგარანტიო ვადა და პირობები

10.1. შესრულებული სამუშაოს (ვარგისობის) საგარანტიო ვადა შეადგენს არანაკლებ ---------- წელს, რომელიც აითვლება ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

10.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას, გადასცეს 8.2.2. პუნქტში მითითებულ პირ(ებ)ს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (მათ შორის 10.1. და 10.3.) განსაზღვრული საგარანტიო ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტი შესრულებულ სამუშაოზე და დამონტაჟებულ ნივთზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საგარანტიო ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადა და პირობები ინარჩუნებს ძალას, მიუხედავათ ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადისა.

10.3. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ საგარანტიო ვადის განმავლობაში 8.2.2. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში მოახდინოს წუნის გამოსწორება ან/და წუნდებული ნივთის შეცვლა. თუ მიმწოდებელი აღნიშნულ ვადაში არ გამოასწორებს წუნს ან/და არ შეცვლის წუნდებულ ნივთს, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს წუნის გამოსწორებაზე ან/და წუნდებული ნივთის შეცვლაზე გაწეული ხარჯები, ამ ხარჯების მოთხოვნის წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.

11. უფლებების გადაცემა

დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისთვის გადაცემა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ან პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ამ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით და მისი მოქმედების ვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადას აღემატება არანაკლებ 30 კალენდარული დღით.

12.2. მიმწოდებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს თავისი, როგორც საბანკო გარანტიის ბენეფიციარის უფლებები, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

12.3. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:

12.3.1. სამშენებლო სამუშაოს მიუწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.4. თუ მიმწოდებელს შემსყიდველისგან მიღებული აქვს ავანსი და ამ ხელშეკრულებას ამოეწურა ვადა, მათ შორის შეწყდა ვადამდე, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან ან/და შეწყვეტიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში დაუბრუნოს შემსყიდველს ავანსი (დოკუმენტურად დადასტურებული შესრულებული ნაწილის გამოკლებით);

12.5. თუ მიმწოდებელი 12.4. პუნქტის შესაბამისად არ დაუბრუნებს შემსყიდველს ავანსს, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს თავისი, როგორც საბანკო გარანტიის ბენეფიციარის, უფლებები, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

12.6. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:

12.6.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან ძალაში დატოვოს ეს ხელშეკრულება;

12.6.2. ფორმა №2, №3, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო სამუშაოს იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო ამ მუხლის შესაბამისად.

12.7. შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0,02 %-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%.

12.8. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.

12.9. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება მხარის მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, იმის მიხედვით თუ ამ გარემოებებიდან რომელი უფრო ადრე დადგება.

12.10. ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ (არაჯეროვნად) შესრულებისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი სამუშაოების ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობის არსებობით.

13.2. ფორს–მაჟორულ მდგომარეობად ითვლება წინასწარ განუსაზღვრელი ნებისმიერი გარემოების არსებობა, რომელიც მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო წარმოადგენს დაუძლეველ ძალას (სტიქიური უბედურება, საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემია, კარანტინი, სახაზინო სამსახურის მიერ შემსყიდველის მხრიდან თანხის გადახდის თაობაზე გაგზავნილი მოთხოვნის დაკმაყოფილების შეჩერება ან უარყოფა, საბიუჯეტო ასიგნების შემცირება და სხვა) და შეუძლებელს ხდის მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

13.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

13.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

13.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 (ოცდაათი) დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ
ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

14.1.1. მხარეთა შორის გაფორმებული ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით, ნებისმიერ დროს;

14.1.2. ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ/ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს მეორე მხარეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება. ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:

14.2.1. იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);

14.2.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 მხარეებს შორის ყველა დავა და უთანხმოება, წარმოქმნილი ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.

15.2. თუ მოლაპარაკების შედეგად მხარეები გონივრულ ვადაში ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, დადგენილი წესით, შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

16.1 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული, უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი, შეთანხმების საფუძველზე.

16.2 შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულებას და იგი წარმოადგეს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის ---------- ჩათვლით.

18. დასკვნითი დებულებები

18.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით, დადგენილი წესის შესაბამისად.

18.2 ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს: ხარჯთაღრიცხვა (დანართი№1), რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.3 ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით და ეხება

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის არსებულ ურთიერთობას, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18.4 ხელშეკრულება ფორმდება --------- თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იდენტურ ეგზემპლიარად.

შემსყიდველის მხრიდან: მიმწოდებლის მხრიდან: